„ჩემი წილი სუფთა ჰაერი“

ჩემი სახლის წინ ახალ კორპუსს აშენებენ. ოთახის ფანჯრიდან ყოველ დღე ვადევნებ თვალს აგურს აგურზე როგორ აწყობენ და შენობას ნელ-ნელა სართულებს ამატებენ. მშენებლობა რომ დასრულდება, ბეტონის კედლები იმ ხედს ჩაანაცვლებს, ღრმა ბავშვობიდან ძალიან რომ მიყვარდა და თან უცნაურად მაშინებდა. თუმცა, ერთადერთი, რასაც ვერ დაფარავს, საწარმოების მიერ დაბინძურებული და ხანდახან ნისლივით ჩამოწოლილი ჰაერი და მისი პრობლემებია.

მზის ამოსვლის ლამაზ პეიზაჟთან ერთად, ჩვენი ქალაქის ქარხნებიც ადრიანად იწყებენ მუშაობას და გამონაბოლქვი ცას ფერს უცვლის. მაღალი მილებიდან ამოსული კვამლი, ბუნებას მუქი ფერებით ავსებს და განწყობას მიფუჭებს, რადგან ბავშვური თვალებითაც ვხვდები, რომ გამონაბოლქვი მავნე ნივთიერებებით წვრილ ნაწილაკებად ჰაერს უერთდება და ამ ყველაფერს შემდეგ ჩვენ ვისუნთქავთ.

როდესაც ამ საწარმოებზე ვფიქრობ, თვალწინ წარმომიდგება იქ მომუშავე ადამიანების სილუეტები, რომლებიც ყოველ დილას ადრე დგებიან და ქარხნების ხმაურში იწყებენ დღეს. ქალაქში ას ოცდაათ ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს და მათგან ათასობით რუსთავის საწარმოო ზონაშია დასაქმებული. ვიცი, რომ მათთვის ეს მხოლოდ სამსახური არაა და ხშირ შემთხვევაში, მათი ოჯახებისთვის ლუკმაპურის შოვნის ერთადერთი გზაა. ამიტომ, ვერ ვიტყვით, რომ ქარხნებმა ჩვენს ქალაქში ფუნქციონირება უნდა შეწყვიტონ. პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ისინი ეკოლოგიურ სტანდარტებს თვალს არიდებენ, უსაფრთხოების ნორმები ქაღალდზე რჩება და ჰაერიც უხმოდ იწამლება. მნიშვნელოვანია, საწარმო კი არ დახურონ, არამედ დაიცვან შესაბამისი რეგულაციები და წესები. ასე უფრო მეტი ადამიანი დასაქმდება და თან ჯანმრთელობისთვის ნაკლებად საზიანო გარემოში ვიცხოვრებთ.

არაერთხელ გამიგია, რომ ამ, ერთი შეხედვით, უხილავმა საფრთხემ ბევრს ოჯახის წევრის ჯანმრთელობა, ზოგს კი სიცოცხლე წაართვა. უცნაურია იმის გაცნობიერება, რომ ბევრისთვის ეს გამონაბოლქვი გახდა ბოლო ამოსუნთქვა. ეს აღარ არის მხოლოდ ეკოლოგიური პრობლემა, ეს უსამართლობაა. ეკოლოგიურად სუფთა გარემოზე და ჰაერზე ზრუნვა თანამედროვე სამყაროს განვითარებულ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია აღარ არის უცხო და პრობლემატური, რადგან სამყაროში ადამიანების სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი არაფერია. სუფთა ჰაერი არ უნდა იყოს ფუფუნება და პრივილეგია. ეს ადამიანთა საყოველთაო უფლებაა და ყველას უნდა გვქონდეს ჩვენი წილი სუფთა ჰაერით სუნთქვის შესაძლებლობა. საწარმოებმა უნდა განაგრძონ ფუნქციონირება, მაგრამ უნდა შემცირდეს მათი ზემოქმედება გარემოზე და ადამიანების ჯანმრთელობაზე. ქარხანამ ფილტრი უნდა მოირგოს, როგორც ადამიანმა პირბადე პანდემიისას. ეს დაგვიცავს მათი სამუშაო პროცესში წარმოქმნილი და გამოფრქვეული მავნე ნივთიერებებისგან.

ახალი კორპუსის აშენების შემდგომ, შეიძლება ერთ-ერთ ბინაში ჩემნაირი გოგონა გადმოვიდეს. ჩემი სურვილია, რომ მას მსგავსი გამოწვევა აღარ ჰქონდეს და პრობლემა მოგვარებული დახვდეს. მინდა მისი ნაწერი მხოლოდ მზის ამოსვლის ლამაზ პეიზაჟებს აღწერდეს და რუსთავისთვის ეკოლოგიური პრობლემები სამუდამოდ წარსულში დარჩეს.

ანიტა გოგოლაძე

ესსეს ავტორი: ანიტა გოგოლაძე

ასაკი: 14 წლის

კლასი: მე9

სკოლა: სსიპ ქ.რუსთავის მე3 საჯარო სკოლა

ქალაქი: რუსთავი

ტელეფონი: 591 01 35 07

ელ.ფოსტა: nitagogoladze@gmail.com